# ანგელოზები, რომლებიც ჩვენთვის ევედრებიან



# ანგელოზები, რომლებიც ჩვენთვის ევედრებიან


muslim georgia



muslim georgia
muslim georgia international charity foundation

გამომცემლობის მმართველი:
დრ. იუქსელ სალმან

მწერალი:
ელიფ არსლან

მხატვარი:
ოსმან თურჰან

კოორდინატორი:
დრ. ომერ მენექშე

რედაქტორი:
ელიფ არსლან

გამომცემლობის ხელმძღვანელი:
მეჰმეთ ერდოან

გრაფიკის დიზაინი:
ლოქომოთიფ ჯ.ა.

ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

ქართული გრაფიკა:
ბილალ ილქაი



# ანგელოზები, რომლებიც ჩვენთვის ევედრებიან

muslim georgia

# სარჩევი


სიკეთის ხმა ჩვენში 9

ისინი მუდამ ჩვენ გვერდით არიან 15

ქუჩის ანგელოზი ძმები 23

გზავნილის მომტანი ანგელოზი 28

ვინ აკეთებს? 39

ანგელოზები მიყვარს 42








muslim.ge

# სიკეთის ხმა ჩვენში

ფანჯრიდან შემოსული მზის სხივი არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ მძინარე ფატმა გაეღვიძებინა. ვინ იცის, შესაძლოა გაეღვიძა კიდეც, მაგრამ უნდოდა რომ დედის თბილსა და რბილ ხმაზე გაეხილა თვალები. მოგვიანებით დედა პატარა გოგონას ოთახში შევიდა და ლოგინის კუთხეს მიუახლოვდა. გოგონას თმაზე მოეფერა. ფატმამ თვალები არ გაახილა, მაგრამ ლოგინში შეირხა. დედას არ გამოჰპარვია მის სახეზე სასიამოვნო გამომეტყველება.

–გათენდა, ჩემო ანგელოზო, –დედის ამ სიტყვებზე თვალები გაახილა. ბედნიერი იყო ასე სასიამოვნოდ რომ გააღვიძეს.

ყოველ დილით, გამოფხიზლებამდე დედასთან საუბარი უყვარდა. ხან სიზმრებს მოუყვებოდა, ხან გასაოცარ კითხვებს უსვამდა, ხანაც იმას უყვებოდა, თუ რას აკეთებდა მეგობრებთან ერთად. ამ დილითაც ხუმრობის ხასიათზე იყო:

–დედა, მგონი ჩემი სახელი დაგავიწყდა, –უთხრა.

გაოცებულმა დედამ უთხრა:

–საიდან მოიტანე ეს ჩემო პატარავ?

–ჩემო ანგელოზოო მომმართე. მე ხომ ანგელოზი არ მქვია...

დედას გაეცინა.

–ისევ გამაცინე. შენ იმიტომ გიწოდე ანგელოზი, რომ ანგელოზივით უცოდველი და წმინდა ხარ. შენ ანგელოზს გეძახი, რადგან მჯერა, რომ სულ ასეთი კარგი და კეთილი იქნები.

პატარა გოგონას უფრო გაუხარდა. უკვე გამოფხიზლებულიყო. რაღაცის თქმას აპირებდა, სწორედ ამ დროს უთხრა დედამ:

–რაღაცის თქმას აპირებ, მაგრამ ახლა შენი უფროსი და უნდა გავაღვიძო. თუ გსურს, შეგვიძლია საუზმობისას ვილაპარაკოთ. სხვა შემთხვევაში სკოლაში დაგვიანებ.



ფაცმა სასწრაფოდ წამოდგა. ხელ–პირის დაბანისას და ხალათის ჩაცმისას სულ ანგელოზებზე ფიქრობდა. შინაგანი ხმა, რომელიც ეუბნებოდა რომ ხელ–პირი დაებანა, ანგელოზების ხმა უნდა ყოფილიყო. გუშინ სკოლიდან რომ ბრუნდებოდა, მოხუცი ბებია დაინახა, რომელიც ქუჩაზე გადასვლას ცდილობდა. ალბათ ისიც ანგელოზის ხმა იყო, რომელმაც უკარნახა, რომ დახმარებოდა. სწორედ ამ ჩურჩულს მოუსმინა და მოხუც ბებიას დაეხმარა. გარშემო მყოფებს ბედნიერს რომ ხედავდა, "კარგად მოიქეცი" ეუბნებოდა შინაგანი ხმა. ალბათ ამასაც ანგელოზი ამბობდა. წინა წელს, რამადანის თვეში რომ იმარხულა და გაუხარდა, ნეტავ ანგელოზსაც თუ უხაროდა? გაახსენდა ზამთარში არემარე თეთრად რომ იფარებოდა და ფანჯრიდან გარეთ იყურებოდა. ყველაფერი თოვლს დაეფარა. იფიქრა, ისევე როგორც სხვა მრავალი რამ, ჩიტების საკვებიც თოვლის ქვეშ დარჩებოდა. მაშინ მშივრად დარჩენილ ჩიტებზე რომ ფიქრობდა, ალბათ ესეც ანგელოზის დამსახურება იყო. სამზარეულოდან პური აიღო, პატარებად დაანაწევრა და ჩიტებს დაუდო. ამას თოვლის დადნობამდე აკეთებდა.

ამ ფიქრებში იყო გართული, საუზმეს რომ მიუჯდა. ჭამამდე ბისმილლაჰ თქვა და სიხარულისგან წამოიყვირა:

–ესეც ანგელოზებმა შემახსენეს.

მაშინ როდესაც დედა ცდილობდა გამოეცნო რა ხდებოდა:

"დედიკო, მასწავლებელმა გვითხრა: თუკი შინაგანი ხმა სიკეთისაკენ და სამართლიანობისკენ მოგვიწოდებს, ეს ანგელოზის ხმაა."

კიდევ ბევრი რამის თქმას აპირებდა, მაგრამ დავალება გაახსენდა, რომელიც მასწავლებელმა მისცა. დავალების დაწერა დავიწყებოდა. მთელი სიხარული გაეფანტა. ფიქრობდა რა გაეკეთებინა და ერთი იდეა მოუვიდა თავში. სკოლაში არ წავიდოდა და მეორე დღეს მასწავლებელს ეცყოდა, რომ ავად იყო. იფიქრა გამოსავალი იპოვა და ამოისუნთქა. დედამ და უფროსმა დამ ჰკითხეს რა დაემართა, მაგრამ არ უნდოდა მათთვის გაემხილა. სინამდვილეში იცოდა, რომ ეს არ იყო მართებული გამოსავალი. "ეს იდეა ვინც მომაფიქრა, ცყუილის თქმა და პასუხისმგებლობისგან გაქცევა ვინც მირჩია, ეშმაკი უნდა იყოს. ალბათ არც ისეთი კარგი ვარ, როგორც დედა ამბობს. რა ცუდი აზრები მომდის თავში." გაიფიქრა და ტირილი დაიწყო. დედა მოეხვია:

–რა მოხდა ჩემო ანგელოზო, რატომ ტირიხარ? –ამ სიცყვებზე ნაღვლემა უფრო უმატა.

–ანგელოზი არ დამიძახო, –თქვა და მოუყვა რასაც ფიქრობდა.

დედამ თვალებში ჩახედა და უთხრა:

–ჩემო პატარავ, ყველა ადამიანში არის ის ხმა, რომელიც სიკეთისკენ, სიმართლისკენ და სილამაზისკენ მოუწოდებს. ამასთან ერთან ის ხმაც ესმის, რომელიც ბოროტებისა და უსამართლობისაკენ მოუწოდებს. ხმა, რომელიც სიკეთისაკენ მოგიწოდეს, ანგელოზის ხმაა. ბოროტებისკენ კი ეშმაკის ხმა მოგიწოდებს. შენ იმ აზრმა შეგაწუხა, რომელიც გაიფიქრე.

იმ ხმას მოუსმინე, რომელმაც გიკარნახა, რომ ეს არ იყო მართებული. ამიცდომაც

გადაწყვიცე, რომ არ გაგვკეთებინა. შეიძლება გაგვკეთებინა კიდეც. მთავარია, რომ ჩვენი შეცდომა გავიაზროთ და შევეცადოთ ასე აღარ მოვიქცეთ. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ კარგი ადამიანები ვართ. ალლაჰს მადლობა გადავუხადოთ, რომ ჩვენში არის ხმა, რომელიც სიკეთისა და სამართლიანობისკენ მოგვიწოდებს. მიდი ჩემო ანგელოზო, სკოლაში არ დაგვიანოთ, წარმაცებები, ალლაჰს ებარებოდეთ.

საყვარელო ბავშვებო, მოდით დაწერეთ ის საქციელები, რომლებზეც ანგელოზები გაფიქრებენ:



muslimgeorgia

# ისინი მუდამ ჩვენ გვერდით არიან

აიშესა და ფატმას დედა, ყველას ვინც სახლიდან მიდიოდა, ეუბნებოდა "ალლაჰს ებარებოდეთ."

ამ დილითაც, აიშესა და ფატმას სკოლაში რომ აცილებდა:

– ალლაჰს ებარებოდეთ, ჩემო პატარებო, – უთხრა და ლოყაზე აკოცა. მავშვებიც დედას ჩაეხუტნენ და სახლიდან გავიდნენ.

ფატმამ აიშეს ჰკითხა:

– დაიკო "ალლაჰს ებარებოდეთ" რას ნიშნავს?

– ჩვენ სკოლაში რომ მივდივართ, დედა იმ წუთიდან ჩვენ გვერდით არაა...

– დიახ, საღამოს სახლში დაბრუნებამდე ერთმანეთს ვერ ვხედავთ.

– ამიტომაც დედა დაბრუნებამდე ალლაჰს მიგვაბარებს.

– ეგ როგორ?

– ჩემი აზრით, დედა "ალლაჰს ებარებოდეთ" რომ ამბობს, ჩვენთვის ევედრება. ანუ "ჩემო ალლაჰო, ჩემს პატარებს საღამომდე ვერ ვნახავ, მაგრამ შენ ყოველთვის დაინახავ და მათ ხმას გაიგონებ. ჩემი პატარები შენ დაიცავი" ასე ევედრება.

–ამავდროულად, ჩვენც ლამაზ სიცყვებს გვეუბნება. გვახარებს. ღედაჩვენი ყველაფერზე ფიქრობს.

ამ საუბრის შემდეგ აიშე საკუთარ თავს ეკითხებოდა "ნეცავ ალლაჰი ჩვენ როგორ დაგვიცავს?" ხმამაღლა ფიქრი დაიწყო.

–ალლაჰს ყველაფრისთვის ეყოფა ძალა.

სკოლამდე ცოცა გზა დარჩენოდათ. გზაზე, პარკში პაცარა ჩიცები დაინახეს, რომლებიც საკვებს ეძებდნენ.

ფაცმას სულ უნდოდა ამ ჩიცებს მოფერებოდა, მაგრამ ვერასოდეს იჭერდა, რადგან პაცარა ჩიცებს ეშინოდათ და სწრაფად გარბოდნენ. ფაცმას კი მხოლოდ მოფერება უნდოდა. ისევ სცადა ჩიცის დაჭერა, მაგრამ იგივე მოხდა. ჩიცები ფრთხიალით გაფრინდნენ. როგორც ჩანს, ალლაჰს თავის დასაცავად, მათთვის ფრენა უსწავლებია...

მოგვიანებით სკოლის ეზოში იყვნენ. ადრიანად მოსულ მეგობრებს თამაში დაეწყოთ. აიშეს თვალები მეგობრებს ეძებდნენ. ცოცა ხანში დაინახა ორი ყველაზე საყვარელი მეგობარი, იასემინი და ემელი. ეზოს ერთ კუთხეში ჩამომსხდარიყვნენ და აღელვებული საუბრობდნენ. სირბილით მივიდა მათთან.



–დილა მშვიდობისა, –უთხრა.

მას შემდეგ, რაც მოლაპარაკე მეგობრები მიესალმნენ, იასემინმა მოუყვა თუ რაზე საუბრობდნენ:

–დილით სახლიდან გამოვდივარ. დედა და პატარა ძმა მაცილებდნენ. შემდეგ ძმამ ტირილი დაიწყო „მეც წამოვალ შენთან ერთად"–ო. სწორედ მაშინ, როდესაც ცდილობდა დამწეოდა, კიბეზე დაგორდა. დაჭერა ვცადე, ამ დროს კი ორივე კიბის ბოლო საფეხურზე აღმოვჩნდით.

აიშე დაამწუხრა მეგობრის ამბავმა:

–შენ არაფერი გეცყობა. ძმა როგორაა? –ჰკითხა.

–ძმაც კარგადაა. იმის მიუხედავად, რომ სიმაღლიდან გადმოვარდა, არაფერი დაემართა. დედამ თქვა "ალლაჰმა დაიფარა"–ო.

მეგობარმა იასემინმა თქვა:

–თუ იცი, რომ ალლაჰი ანგელოზების საშუალებით ჩვენ გვიცავს. ალლაჰს ანგელოზები ჰყავს გამოყოფილი ჩვენს დასახმარებლად. სწორედ ამიტომ არ მეშინია სიბნელის. ვიცი რომ არასდროს არ ვარ მარტო. ალლაჰი ყოველთვის მხედავს. ანგელოზები, რომალთაც ჩემი დაცვა აკისრიათ, ისინიც ჩემთან არიან. რა კარგია, არა?

–მხოლოდ შენ გვერდით არიან? ყველას გვყავს ანგელოზები, რომლებიც გვიცავენ.

ფაცმას ასეთმა შეპასუხებამ ყველა გააცინა.

–ნუ დარდობ ჩემო ფაცმა. ალლაჰის ანგელოზები ყველას გვეყოფა, რადგან ალლაჰს ყველაფრის ძალა შესწევს. მისთვის რთული ან შეუძლებელი არ არსებობს.

საუზმისას ზარი დარეკეს. მოსწავლეები სკოლის ეზოში, თავიანთი კლასისთვის გამოყოფილი ადგილისკენ გარბოდნენ. სკოლის დირექტორი სიტყვით გამოვიდა. საუზმისას აღნიშნა, რომ კვირის ბოლოს კლასის ორი მინა გატეხილიყო. ამ ამბავმა ყველა დაამწუხრა, რადგან იცოდნენ, რომ სკოლის მიუჯეცით ძალიან გაუჭირდებოდათ შეკეთება. უხმაუროდ წავიდნენ კლასისაკენ. მოსწავლეები ერთმანეთში საუბრობდნენ:

–ვინც გატეხა, ალბათ არ იცყვის "მე ვიყავი"–ო.

–იმიტომ რომ გაბრაზდებიან.

–ჩემი აზრით, რომც გაბრაზდნენ უნდა თქვას.

–მინის გამოსაცვლელი ფული თუ არ აქვს როგორ უნდა თქვას.

–მაინც უნდა თქვას. თანაც თვითონ რომ არ თქვას, ალლაჰმა ხომ იცის. არიან ანგელოზები, რომლებიც ყველაფერს იწერენ, რასაც ვაკეთებთ.

–ანგელოზები არ მოვლენ და არ იცვლიან... ვის ეცოდინება?

–ალლაჰმა ხომ იცის, არ კმარა?

–ჩემი აზრით, შეცდომას ყველა უშვებს. იმას თუ დავმალავთ რაც ჩავიდინეთ, ამით კიდევ ერთ შეცდომას დავუშვებთ. ალბათ თქმა რთულია, მაგრამ როდესაც ვიცვლით, ვმშვიდდებით.

ფაცმა ისევ აღელვებული ჩაერთო საუბარში:

–თანაც ამ დროს ანგელოზები დაწერენ, რომ სიმართლე ვთქვით.

–დაწერენ რომ ერთ შეცდომას მეორე არ დამატებია. სიმართლე თქვა და მამაცი ბავშვია, ხომ ასეა?





ფატიჰი, რომელიც აქამდე მათ საუბარში არ ჩარეულა, უცებ ჩაერთო:

–შესაძლოა შემთხვევით გატეხა. სკოლის ფანჯრის მინას განზრახ ვინ გატეხს?

ფატმას კლასელმა, ქემალმა, უპასუხა:

–რა თქმა უნდა შემთხვევით გატეხდა, მაგრამ შეცდომას სწორედ მაშინ დაუშვებს, როცა ამას დამალავს. იმიტომ რომ, ვიდრე იცოდეს, რომ თვითონ გატეხა, მისი ყველა მეგობარი ეჭვის ქვეშ იქნება. ესეც მეგობრებისადმი უსამართლობა იქნება, ასე არაა? ახლა არაა ცნობილი ვინ გატეხა და ჩვენ ყველას ეჭვის თვალით გვიყურებენ.

პირველი გაკვეთილის შემდეგ, ფატიჰი დირექტორის კაბინეტში იყო:

–მასწავლებელო, მე გავტეხე მინა, –უთხრა. მაცთნი ალი, რომელიც წლების მასწავლებელი იყო, ამ აღიარებამ გააკვირვა. ფატიჰიც ჩუმად ელოდებოდა სასჯელს.

–ვინმემ დაინახა მინა როგორ გატეხე? –ჰკითხა ალი მასწავლებელმა.

–დიახ მასწავლებელო. ალაჰმა დაინახა რომ გავტეხე. ანგელოზებმაც დაინახეს და ჩაიწერეს. თანაც იმასაც ჩაიწერდნენ შემთხვევით რომ გავტეხე. იმიტომ რომ განზრახ არ გამიკეთებია. ვირა დღეს მეგობრებს უნდა შევხვედროდი სკოლის ეზოში, ბურთი რომ გვეთამაშა. მე ყველაზე ადრე მოვედი. მათ მოსვლამდე ვვარჯიშობდი. ბურთს ძლიერად რომ დავარტყი, მინას მოხვდა და დაიმსხვრა. მეგობრები რომ მოვიდნენ ვერ ვუთხარი, რადგან შეშინებული ვიყავი. გავიფიქრე, ეს რომ გაიგონ, ვინ იცის როგორ დამსჯიან–მეთქი. გადავწყვიტე არავისთვის მეთქვა. რაც არ უნდა იყოს არავის დავუნახივარ– მეთქი. თუმცა ამ დილით,

მეგობრებთან საუბრისას გავაცნობიერე, რომ ასე არ არის.

დირექტორს, ბატონ ალის, თვალები აუცრემლიანდა. ფატიმეს დასჯა არც კი უფიქრია, მაგრამ გადაწყვიტა მინის ფულიც არ გადაეხდევინებინა.

– ფატიმე, შენ მამაცი ბავშვი ხარ. თუ იცი, რომ ანგელოზები ისიც ჩაწერეს, სიმართლის მთქმელი ბავშვი რომ ხარ? სწორედ ასე იწერება გაკეთებული ყოველი კეთილი საქმე, – უთხრა და ფატიმეს თავზე ხელი გადაუსვა.

– წადი ახლა საკლასო ოთახისკენ. არაა საჭირო ამ ისტორიის მეგობრებზე მოყოლა. ჩვენ შორის დარჩეს, – უთხრა.

ალი მასწავლებელს არ უნდოდა ფატიმე უფრო მეტად დაეთრგუნა. მეორე დილით შეკრების შემდეგ:

– ჩემო საყვარელო ბავშვებო, აღარ იდარდოთ გატეხილ მინაზე. ერთი ქველმოქმედი არის, ვისაც მინის შეცვლა სურს. ის თუ ვინ გატეხა მინა, მე ვიცი, მაგრამ რომ არ მოსულიყო და არ ეთქვა ვერასოდეს მივხვდებოდი. მის სახელს ვერ გეტყვით, მაგრამ მოდით ამ მამაც და სიმართლის მთქმელ მეგობარს ტაში დავუკრათ.

სკოლის ეზო ტაშის ხმამ აავსო.

კლასისკენ რომ მიდიოდნენ, ფატიმემ მეგობარს ასე მიმართა:

– რა კარგია რომ კარგი და ცუდი საქმეების, ყველაფრის ჩამწერი ანგელოზები არსებობენ. ამის გამო, ჩვენს ქცევებს ყურადღებას ვაქცევთ. შეცდომის დაშვების შემთხვევაში ვცდილობთ გამოვასწოროთ.



# ქურის ანგელოზი ძმები

იმ ქუჩაზე, სადაც აიშეს ოჯახი ცხოვრობდა, ასე ცხოვრობდნენ ძმები: ჯებრაილი, ისრაფილი და მიქაილი. ყველა მეგობარმა იცოდა, რომ ანგელოზების სახელები ერქვათ. ამიტომაც მათ ზოგჯერ "ანგელოზ ძმებს" ეძახდნენ.

ფატმა დაინტერესდა "ანგელოზ ძმებს" რატომ ეძახდნენ. ერთ დღეს უფროს დას ჰკითხა:

–ისინი ანგელოზები არიან?

აიშეს გაუკვირდა "ანგელოზი"–ს მნიშვნელობა რომ არ იცოდა, მაგრამ მაინც უპასუხა:

–არა, ისინიც ჩვენსავით ადამიანები არიან.

–მაშინ "ანგელოზ ძმებს" რატომ ეძახით?

–მათ ანგელოზების სახელები ქვიათ, სწორედ ამიტომ.

–ანგელოზი რა არის?

–ანგელოზები ალლაჰის მიერ შექმნილი არსებები არიან, რომლებსაც ჩვენ ვერ ვხედავთ. ალლაჰის ბრძანებებს ასრულებენ და მას ემორჩილებიან.

ფატმას კითხვები არ ელეოდა:

–დაიკო, როგორი არიან ანგელოზები?

არ იცოდა რა ეპასუხა, ჩაფიქრდა. ზოგიერთ ნახატზე ენახა როგორც ფრთებიანი ბავშვები. თუმცა დედას ეთქვა, რომ ანგელოზები მათ არ ჰგავდნენ.მხოლოს გაახსენდა.

წინა წელს ყურანის კურსის მასწავლებელმა უთხრა, რომ ანგელოზები არიან არსებები, რომლებიც სინათლისგან იქმნებიან. რაც უფრო ფიქრობდა, მით მეტი ახსენდებოდა ყურანის კურსში ნასწავლიდან. ძალიან გაუხარდა. თითქოს ნაცინისგან აგებული სახლი დაინახათ. როგორ არ გაუხარდებოდა? მიხვდა რომ ის რაც წინა წელს ისწავლა, არ დავიწყებია. ამ ყველაფერთან ერთად, პაცარა დამ რომ ჰკითხა, არ გახდა საჭირო ეთქვა "არ ვიცი, დედას ჰკითხე." ამ ყველაფერს რომ ფიქრობდა პაცარა დამ მოუთმენლად ისევ ჰკითხა:

–დაიკო ამიხსენი, ანგელოზები როგორები არიან?

აიშემაც რაც ახსოვდა აუხსნა დას, რომელიც გაფაციცებით უსმენდა:

–ანგელოზები სინათლიგან შექმნილი არსებები არიან. სქესი არ გააჩნიათ. ყოველთვის ალლაჰს ემორჩილებიან. ცოდვას არ ჩაიდენენ. არ ჭამენ, არ სვამენ, არ ძინავთ.

პაცარა დამ ვერ მოითმინა და ჰკითხა?

–როდესაც მოშივდებათ, მოსწყურდებათ და ძილი მოერევათ რას აკეთებენ?

სწორედ ამ დროს მათ მეგობრები უახლოვდებოდნენ და ფაცმას ამ კითხვაზე გაეცინათ. ფაცმას ეწყინა და შერცხვა, იმ კითხვაზე რომ გაეცინათ, მას ძალიან რომ აინცერესებდა. ეს აიშემაც მალევე შეამჩნია.

–ყოჩაღ ფაცმა. როგორ მოგაფიქრდა ის კითხვა, რომელიც არავის მოსვლია აზრად? ჩვენ, ადამიანები დიდი ხნის განმავლობაში თუ არ დავიძინებთ, არ ვჭამთ და წყალს არ დავლევთ, ვერ გავუძლებთ, რადგან ალლაჰმა ასეთები შეგვქმნა. ანგელოზებს კი ჭამა, სმა და ძილი არ ახასიათებთ და ასეთი საჭიროებაც არ აქვთ. ფაცმას

გაუხარდა, რომ კითხვაზე პასუხიც მიიღო და უფროსმა დამ შეაქო. თუმცა უფროს დას ისევ დამორცხვებული უყურებდა. აშკარა იყო, რომ ისევ რაღაც აინტერესებდა. ნეტავ ისევ გაიცინებდნენ მის კითხვაზე?

–რა მოხდა? –ჰკითხა აიშემ.

–არაფერი, –უპასუხა.

–მიდი თქვი, რაღაც გაწუხებს.

ჯერ ფართოდ გაახილა თვალები, შემდეგ უცოდველივით აათვალიერა.

–ანგელოზებსაც აქვთ სახელები? –იკითხა და ირგვლივ ყველას მოავლო თვალები. არავინ იცინოდა. დამშვიდდა.

მეგობარმა ესრამ უთხრა:

–რა თქმა უნდა აქვთ. ჩვენ მხოლოდ ის სახელები ვიცით, რომლებიც ყურანშია მოხსენებული. აი მაგალითად "ანგელოზი ბმები"–ს სახელები. მათი სახელები ყურანი ქერიმში გვხვდება...



პაწაწა გოგონას კითხვებისგან წარმოშობილმა თემამ, ქუჩაში მყოფი ყველა ბავშვი მიიზიდა. ყველა იმას ამბობდა რაც იცოდა. საკმაო დრო გავიდა და სახლში უნდა წასულიყვნენ. იფიქრეს ცოტა ხანი კიდევ დავრჩეთო. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა:

–გვიან რომ წავიდეთ, მშობლები ინერვიულებენ.

სხვებიც დაეთანხმნენ. სახლში წასასვლელად დაიშალნენ. ფაცმამ ბოლოს ეს თქვა:

–გვიან რომ წავიდეთ მშობლები იდარდებენ და დამწუხრდებიან. ანგელოზი, რომელიც ჩვენს გაკეთებული საქმეებს წერს, ჩაიწერს რომ "ფაცმამ მშობლები გაანაწყენა." ახლა, რახან დროზე მივალთ სახლში მშობლები აღარ იდარდებენ. სახლში მისვლისას ლოცვაზე რომ ვაკეთოთ, ვინ იცის ანგელოზები რა კარგ რამეებს დაწერენ...

## დაიმახსოვრეთ

"უეჭველად, რომელნიც შენ ღმერთთან მისადმი არიან, არ გამედიდურდებიან მისადმი თაყვანისცემისგან და განადიდებენ მას და მის წინაშე სუჯდეს აღასრულებენ!





# გზავნილის მომტანი ანგელოზი

საღამომდე ეზოში თამაშობდნენ. დღის ბოლოს მეგობრებს დაემშვიდობნენ და სახლში წავიდნენ. ხელ-პირის დასაბანად სააბაზანოში შევიდნენ. აიშემ დას უთხრა:

–მხოლოდ ხელ-პირის დაბანის მაგივრად, აბდესთიც ავიღოთ, თან ვილოცავთ.

ეს აზრი ფაცმას მოეწონა. თან გასუფთავდებოდნენ, თანაც აბდესთიც ექნებოდათ. ეღუზე მესმელეთი დაიწყეს აბდესთის აღება. ერთმანეთზე ცოცხა წყლის შესხმა და გახუმრებაც არ დავიწყებიათ. სააბაზანოდან რომ გამოვიდნენ, ზარმა დარეკა. კარი გააღეს. მათი მეგობარი ჯებრაილი იყო. ორივეს გაუკვირდა, რადგან ცოცხა ხნის წინ დაშორდნენ. რისთვის უნდა მოსულიყო? მათ სახეზე გაოცება რომ დაინახა ჯებრაილმა, აუხსნა:

–აიშე, როგორც კი თქვენ დაგემშვიდობეთ, ჩვენს მასწავლებელს შევხვდი. მოგიკითხა. თქვა, საზაფხულო არდადეგებზე წიგნი იკითხოსო. მეც იმის შიშით რომ დამავიწყდებოდა, მოვედი რომ შენთვის ახლავე მეთქვა. თანაც თქვენს სახლთან ახლოს ვიყავი.

დედმა ჯებრაილი სახლში მიიპატიჟეს, მაგრამ მან:

– უკვე საღამოა, სახლში იდარდებენ, – თქვა მშვიდობიანი საღამო უსურვა და წავიდა.

აიშე ძალიან ბედნიერი იყო. მასწავლებლის მოკითხვაც და თავისი მეგობრის ასეთი საზრიანობაც ახარებდა. ფატმაც ასე ფიქრობდა და უთხრა:

– ჯებრაილი რა მიხვედრილია, ხომ ასეა დაიკო?

– დიახ და ამასთან ერთად სამართლიანიც. მშობლებმა ჯებრაილი ტყუილად კი არ დაარქვეს.

ფატმამ აიშეს ეს შედარება ვერ გაიგო. გაოცებული უყურებდა აიშეს. აიშე მიხვდა, რომ პატარა დამ ვერაფერი გაიგო და აუხსნა:

– იცი ჩემო კარგო, ჯებრაილი ალლაჰთან ყველაზე ახლოს მყოფი ანგელოზის სახელია. ასე ძალიან რამ გაგაკვირვა?

– ეს ვიცი, მაგრამ ვერ მივხვდი ჩვენს ამბავთან რა საერთო აქვს.

– აი ეს: ჩვენი მეგობარი ჯებრაილიც, ანგელოზივით კეთილი და სიკეთის მოყვარულია. ამიტომაც ვთქვი.

როგორც ჩანს ფატმას დის შეწუხება უნდოდა:

– კარგი დაიკო, მაშინ ყველა იმ ანგელოზის სახელი მითხარი, რომელიც იცი.

– რა თქმა უნდა გეტყვი. ოთხი დიდი ანგელოზია: ჯებრაილი, ისრაფილი, მიქაილი. მეოთხე რომელი იყო აღარ მახსოვს.

– შე ცუღლუტო. ჩვენი ანგელოზი ძმების სახელები იცი მხოლოდ. სხვა ანგელოზები არ იცი.

–არა, არა. ვიცი მაგრამ ახლა ვერ მოვიფიქრე. მოიცა ცოტა დავფიქრდე. კარგი, გამახსენდა. არიან ანგელოზები, რომლებიც ჩვენს გაკეთებულ ყველა ცოდვასა და მადლს იწერენ.

–კი, მაგრამ ოთხი დიდი ანგელოზიდან ერთის სახელი არ გითქვამს. ჯერ მისი სახელი თქვი.

–კარგი, ახლა გამახსენდა. ოთხი დიდი ანგელოზიდან მეთხე აზრაილია.

ამ საუბარში დედა მიუახლოვდა და ღიმილით უთხრა:

–კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ჩემო ანგელოზო გოგონებო.

გოგონები მიხვდნენ, რომ დედამ მათი საუბარი მოისმინა და გაეცინათ.

დედამ გააგრძელა: –ვერ მოვითმინე ჩემი ანგელოზები როდის მომესალმებოდნენ. მივხვდი თქვენი საუბარი არ დასრულდებოდა. სიცყვა გაგაწყვეცინეთ, მაგრამ მოდით სუფრა გავშალოთ. საუბარსაც ერთად გავაგრძელებთ.

დები დედას ჩაეხუცნენ და მოეფიყვარულნენ.

–ნამაზს ვილოცავთ და მაშინვე მოვალთ დედიკო, –უთხრეს.

ლოცვის შემდეგ სამზარეულოში რომ შევიდნენ, დედას უკვე დაეწყო სუფრის გაწყობა. მაშინვე მიეხმარნენ. ერთის მხრივ დედას ეხმარებოდნენ, მაგრამ ორივე ფიქრებით ცოტა ხნის წინანდელ საუბარში იყვნენ.

საჭმელი სიხარულით მიირთვეს. აიშეს ოთახში წასვლა უნდოდა. დედას "შენს ხელებს ჯანმრთელობა" უთხრა. სუფრის ალაგებაში დაეხმარა. შემდეგ კი სირბილით წავიდა ოთახისკენ. წიგნების კრებული აიღო ხელში, რომელიც

მამას წინა წელს ეჩუქებინა. ამ წიგნში ის იყო ახსნილი, რაც მუსლიმანს უნდა ერწმუნა. იმ ნაწილზე გადაშალა, სადაც ანგელოზების რწმენაზე იყო მოთხრობილი. ოთხი დიდი ანგელოზიდან ჯებრაილი მოძებნა. ის იცოდა, რომ ჯებრაილის მოვალეობა ალლაჰის ბრძანებების შუამავლებზე გადაცემა იყო. ჩვენს შუამავლამდეც მას მოჰქონდა ალლაჰის ბრძანებები. იფიქრა, რომ ყურანი ქერიმიც ჯებრაილმა მოუტანა ჩვენს შუამავალს. წიგნში ამასთან დაკავშირებული ადგილიც იპოვა. კითხვა დაიწყო. ეწერა, რომ ჯებრაილს ალლაჰის ბრძანებები ყოველგვარი ცვლილების გარეშე მიჰქონდა შუამავლამდე. ეწერა, რომ მხოლოდ ალლაჰის ბრძანებით ჩამოდიოდა. ანგელოზები ხომ იმას ასრულებენ რასაც ალლაჰი უბრძანებს. ჯებრაილიც ალლაჰის ბრძანებებს ასრულებს, ამას ფიქრობდა და ოთახში ფატმა შევიდა.წაკითხულიდან კითხვა დაუსვა:

–აბა მითხარი ფატმა, ჯებრაილს ჩვენი საყვარელი შუამავლისთვის ბრძანებები როგორ მოჰქონდა?

–ალლაჰისგან მიიღებდა და მოჰქონდა, როგორ უნდა მოეტანა?

–ვერ გამოიცანი. ჯებრაილს ბრძანებები სხვადასხვა გზით მოჰქონდა. ჩვენს შუამავალთან ზოგჯერ ანგელოზის ფორმით, ზოგჯერ კი ადამიანის ტანსაცმლით მოდიოდა. უფრო მეტი, ადამიანის ტანსაცმლით რომ მოდიოდა, ჩვენს შუამავალს ისლამზე სხვადასხვა კითხვებს უსვამდა. ჩვენი შუამავლის მეგობრებს კი ის ერთ-ერთი იმათგანი ეგონათ, ვისაც რელიგიის შესწავლა სურდა. ამ პასუხის შემდეგ ფატმამ:

–ნეტავ ჩვენც გვენახა ჩვენი შუამავალი, –თქვა და ოთახიდან გავიდა.




muslimgeorgia

აიშემ იმ ადგილიდან გააგრძელა კითხვა, სადაც გაჩერდა. იმ ადგილის კითხვა დაიწყო, სადაც ახსნილი იყო თუ როგორ მოუტანა ჯებრაილმა ჩვენს

შუამავალს პირველი ბრძანება. კითხვისას ახალ ინფორმაციებს ღებულობდა და თან ემოციურად იმუხცებოდა.

ფიქრობდა, რა კარგია როდესაც წაკითხვაც შეგიძლია და წაკითხულის გაგებაც. ალლაჰს მადლობას უხდიდა, რომ ჰქონდა თვალები, რომლითაც ხედავდა და ცვინი, რომლითაც წაკითხულისა და მოსმენილის აღქმა შეეძლო. კითხვას აგრძელებდა...

აიშეს ხელში წიგნი ეჭირა, ფიქრებში წასულიყო და თავი მთებში ამოეყო. წიგნი ეჭირა ხელში, რომელსაც დაძინებამდე კითხულობდა და ერთ–ერთ ბორცვზე იჯდა. რამდენიმე ნაბიჯის იქით მაღარო შეამჩნია. წამოდგა და მაღაროსკენ გაემართა.

–კეთილი იყოს შენი მოსვლა აიშე, –ხმა მოესმა.

მიმოიხედა. არავინ ჩანდა. იგივე ხმა მოესმა. ირგვლივ მართლაც არავინ იყო. თან ეუცნაურა, თან ცოტათი შეეშინდა.

–მე ვსაუბრობ. ახლა მე მიყურებ, მე მხედავ, –თქვა იმავე ხმამ.

აიშე სადაც იყურებოდა, იქ მხოლოდ მაღარო მოჩანდა.

–ვერ გხედავ, გამოდი. მაღაროში ხარ?– ხმის კანკალით ჰკითხა.

–მაღაროში არ ვარ. ეს მე ვარ მაღარო. ჰირა მქვია.

–მეხუმრები. ვინც არ უნდა იყო, გთხოვ გამოჩნდი.

–არა აიშე, არ გეხუმრები. გთხოვ მომიახლოვდი და შიგნით შემოდი.

აიშეს ცოტა არ იყოს ეშინოდა, მაგრამ მასში არსებული ინტერესი ვერ დაამარცხა და მაღაროს მიუახლოვდა. თავი შიგნით შეყო, ვერავინ დაინახა.

იმავე ხმამ უთხრა:

–გთხოვ ნუ გეშინია. შიგნით შედი. შენ ჩემი პირველი სტუმარი არ ხარ,

მე ბევრი სტუმარი მყავს. ყოველ წელს ათასობით ჰაჯი მოდის და მნახულობს. შენც მოდი.

–შენ სანახავად რატომ მოდიან? მათაც ასე ელაპარაკები?

–ჩემთან იმიტომ მოდიან, რომ საუკუნეების წინ ძალიან მნიშვნელოვან სტუმარს ვუმასპინძლე. მუსლიმანებიც იმ ძვირფასი სტუმრის ხათრით მნახულობენ.

–ვერაფერი გავიგე. გთხოვ, თავიდან ამიხსნი?

–რა თქმა უნდა აგიხსნი საყვარელო აიშე. როგორც იცი ეს ქალაქ მექასთან მდებარე სინათლის მთაა. მეც ამ მთის ერთ–ერთი მაღარო ვარ. სახელი უკვე გითხარი. გახსოვს?

–დიახ, მახსოვს. ჰირა, ხომ ასეა?

–დიახ, ჩემო აიშე. შენ აქ საიდან მოხვედი? ვისთან ერთად ხარ?

–სიმართლე რომ გითხრა, არ ვიცი აქ როგორ მოვედი. ბოლოს წიგნს ვკითხულობდი ანგელოზებზე. ჩამეძინა და რომ გავიღვიძე, აქ ვიყავი.

–რახან აქ ხარ, თუ გინდა ჩემს ისტორიას აგიხსნი.

–რა თქმა უნდა მინდა.

–ცოტა ხნის წინ ძვირფასი სტუმარი რომ ვახსენე, ის ჩვენი საყვარელი შუამავალი, ჰაზრეთი მუჰამმედ (ს.ა.ვ.)–ია. ჩვენი შუამავლის ხანაში ხალხს ნამდვილი ალლაჰი დავიწყებოდათ და ხისგან გაკეთებულ ქანდაკებებს ღმერთად აღიქვამდნენ და ეთაყვანებოდნენ. ეს მდგომარეობა ჩვენს შუამავალს ამწუხრებდა, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიეღო შუამავლობის მისია. ამბობდა, რომ იმ ქანდაკებების თაყვანისცემა, რომელთაც ჩვენი არ ესმით, ვერ გვიგებენ, სარგებელი და ზიანი არ მოაქვთ, არასწორია. ფიქრობდა, რომ არსებობს დიადი გამჩენი, რომელსაც ჩვენი ესმის და ჩვენ

გაგვაჩინა. სწორედ ამიტომ, აქ ხშირად მოდიოდა და ღრმა ფიქრებში ჩაეფლობოდა. მეც მიჩვეული ვიყავი მის სტუმრობას, მაგრამ ერთი სტუმრობისას განსხვავებული რამეები მოხდა. მე გაოცებისგან გავშეშდი და მათ ვუყურებდი.

–ძალიან მაინტერესებს რა მოხდა. ახლავე ამიხსენი რა.

–ჩვენი შუამავალიი ისევ ფიქრებში იყო ჩაფლული. მე მას აღფრთოვანებით ვუყურებდი, როდესაც ხმა მომესმა "წაიკითხე!" მერე მივხვდი, რომ ჯებრაილი იყო მოსული. სწორედ ის იყო, ვინც ჩვენს შუამავალს მიუახლოვდა უთხრა "წაიკითხე"–ო.

ჩვენმა შუამავალმა უპასუხა "მე კითხვა არ ვიცი." ანგელოზმა ჩვენი შუამავალიი ხელებში მოიქცია, მაგრად მოუჭირა და იგივე გაუმეორა:

"წაიკითხე!" ჩვენმა შუამავალმა ისევ უპასუხა "მე კითხვა არ ვიცი."

ჯებრაილმა ჩვენი შუამავალი ისე ხელებში მოიქცია და რაც ძალა ჰქონდა მოუჭირა. ისევ გაუმეორა "წაიკითხე"–ო.

ჩვენი შუამავლის ნათქვამი, რომ კითხვა არ იცოდა, საქმეს არ შველოდა. ამიტომაც ჰკითხა "რა წავიკითხო?"

ჯებრაილმა ყურანი ქერიმის პირველი აიეთი წაიკითხა. მისმა წარმოთქმამ დამატყვევა.

ჯებრაილმა მისი მოვალეობა შეასრულა და გაქრა. ჩვენს საყვარელ შუამავალს ვუყურებდი, საკამოდ დაღლილი იყო. ასეთი რამ პირველად დაემართა. შეშინებული და დადარდიანებული იყო. სახლში წასასვლელად გავიდა. ვხედავდი მთიდან როგორ ეშვებოდა. და რას ვხედავ?

ჰორიზონტზე ჯებრაილი გამოჩნდა. ტკბილი ხმით ჩვენს შუამავალს მიმართავდა. ჩვენმა შუამავალმა თავი მაღლა ასწია და დაინახა. ადამიანის ფორმაში იყო. თითქოს მთელ ჰორიზონტს ფარავდა. ჩვენს შუამავალს უთხრა "ეი მუჰამმედ! მე ალლაჰის ელჩი, ჯებრაილი ვარ." ამ სიტყვებს იმეორებდა. ჯებრაილმა იცოდა, რომ ჩვენი შუამავალი შეშინებული იყო და ამ საქციელით მის დამშვიდებას ცდილობდა. მართლაც, მის ამ სანდო სიტყვებმა ჩვენი შუამავალი დაამშვიდა, დააწყნარა.

23 წლის მანძილზე, ალლაჰის ბრძანებით, ჯებრაილი ჩვენს შუამავალთან მოდიოდა. ყოველ მოსვლაზე მას ალლაჰის ხალხისადმი დანაბარებს უხსნიდა. ყოველ წელს, რამადანის თვეში, ჩვენი შუამავალი ჯებრაილს ყურანი ქერიმის აიებს უკითხავდა. ამას ზოგჯერ აქაც აკეთებდა და მეც ვუსმენდი. აი ახლა ჩემო აიშე, მე იმ ლამაზ დროს ვიხსენებ და მიხარია.

ჰირა ცვებოდა, აიშე კი გულმოდგინედ უსმენდა. მხარზე ხელის შეხებამ შეაშფოთა. ფიქრობდა, რომ ირგვლივ მის გარდა არავინ იყო. თავი მიაბრუნა და მის წინ ფაცმა იდგა.

–შენც მოხვედი? –ჰკითხა.

–ისედაც აქ ვიყავი. კითხვისას ჩაგძინებია. დავინახე რომ გეძინა, მე ავიღე წიგნი და წავიკითხე. ამ დროს ზედმეტად თუ დაიძინებ, ღამე აღარ დაგეძინება. სწორედ ამიტომ გაგაღვიძე.

აიშემ რომ გააცნობიერა ნახული სიზმარი იყო, გაუკვირდა. ერთ რამეში კი დარწმუნებული იყო. ის რაც სიზმარში ნახა, იმას ძალიან ჰგავდა, რაც დაძინებამდე წაიკითხა.



# ვინ აკეთებს?

ბუნებისმეტყველების გაკვეთილი იყო. თემა წვიმისა და თოვლის წარმოშობას შეეხებოდა. მასწავლებელი კლასში ცდას ატარებდა, თუ როგორ ხდებოდა ბუნებრივი მოვლენები. გამთბარი ჰაერი მაღლა ადიოდა და წყლის ორთქლიც მაღლა მიჰქონდა. მაღლა ცივ ჰაერთან შეხვედრისას წვიმა წარმოიქმნებოდა. ცდის წყალობით ეს პროცესი უკეთ გაიგეს. თუმცა აიშეს ერთი კითხვა აწუხებდა. ვერ გადაეწყვიტა მასწავლებლისთვის ეკითხა თუ არა. ზეჰრა მასწავლებელმა აიშეს ეს დაბნეულობა შენიშნა:

– აიშე რამის კითხვა გინდა?

– ის, მასწავლებელო...

– მითხარი აიშე, გისმენ...

– მასწავლებელო, მე გუშინ ანგელოზებზე წიგნი წავიკითხე.

– ძალიან კარგი აიშე. შემდეგი გაკვეთილი თურქულია, შეგიძლია გაკვეთილზე წიგნის შესახებ მოგვითხრო.

– ავხსნი მასწავლებელო, მაგრამ ამისთვის არ მითქვამს.

– აბა რისთვის თქვი აიშე?

– მასწავლებელო, გაკვეთილზე გავიგეთ თუ როგორ წარმოიშობა წვიმა. ცდების წყალობით უკეთ გავიგეთ, მაგრამ ცოტა დავიბნენი.

– რამ დაგაბნია აიშე?

– მე რომ წიგნი წავიკითხე ეწერა, რომ ბუნებრივ მოვლენებს ოთხი დიდი ანგელოზიდან ერთ-ერთი, მიქაილი, განაგებს. წვიმა, თოვა, ქარის ქროლა...



muslim georgia

–დიახ აიშე, რაც წაიკითხე და ახლა თქვი მართალია. ამ ყველა ბუნებრივ მოვლენას მიქაილი განაგებს. თუმცა ცოტა ხნის წინ გაკვეთილზე ახსნილიც მართალია. ამ თემასთან დაკავშირებით, ვინმეს საკუთარი აზრი თუ აქვს? –მთელ კლასს ჰკითხა ზეჰრა მასწავლებელმა. ამის წყალობით კი ყურადღების მიქცევა შეძლო.

ზეჰრა მასწავლებელი ყოველთვის ასე იქცეოდა. ცდილობდა მოსწავლეებს ბევრი კითხვა დაესვათ და უპასუხოდ არც ერთს არ ტოვებდა. აიშეს კითხვამაც ძალიან გაახარა. ამ კითხვის წყალობით უკვე ნათელი იყო რელიგიის კულტურისა და ზნეობის გაკვეთილზე რა თემაზე ისაუბრებდნენ.

უნდა გენახათ ცოტა ხანში კლასში როგორი კამათი გაიმართა. ზეჰრა მასწავლებელი ბავშვებს ყურადღებით უსმენდა. არც ერთს არ ეუბნებოდა მართალი ან მტყუანი ხარო.

რაც თქვეს ყველაფერი დაფაზე დაწერეს. ბავშვებს დაფიქრებისკენ მოუწოდა. მოგვიანებით იმის წაშლა დაიწყეს რაც არასწორად მიაჩნდათ. დაფაზე ბოლოს ეს სიტყვები დარჩა:

ბუნებაში ზოგიერთი წესები არსებობს. წვიმა, თოვლი და ქარის მსგავსი ბუნებრივი მოვლენები ამ კანონების წყალობით წარმოიქმნება. ბუნების კანონებს ალლაჰი აწესებს. მიქაილის მოვალეობა ამ კანონების კონტროლია. ამ კანონების სამყაროს ყველა კუთხეში გასაკონტროლებლად, მიქაილის განკარგულებაში ბევრი ანგელოზია. ისინი სამყაროს ყველა კუთხეში არიან. ამ ძალიან ძლიერი ანგელოზის სიტყვას მაშინვე ასრულებენ. მათ ეს ძალა ჩვენმა გამჩენმა უბოძა.



# ანგელოზები მიყვარს

აიშე ყოველ თემაზე დიდხანს ფიქრობდა, განსაკუთრებული ინტერესით ცდილობდა მოვლენების მიზეზის გარკვევას. ეზოში მკვდარი ჩიტის ნახვამ დაამწუხრა. ის პატარა სხეული უსიცოცხლოდ იწვა. თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა. "არ ჯობდა ამ ლამაზ ჩიტს კიდევ ეცოცხლა?" ფიქრობდა თავისთვის. სულის წამრთმეველ ანგელოზზე გული მოუვიდა. უცებ გაახსენდა, რომ წინა წლის არდადეგებზე ბაბუა გარდაეცვალა. როგორ უყვარდა ბაბუა. არა მხოლოდ მას, ყველა ნაცნობს ძალიან უყვარდა. უბნის საყვარელი ბაბუა იყო. ყოველთვის ჰქონდა ჯიბეში რამე, ბავშვებისთვის რომ დაერიგებინა. ბავშვები სადაც არ უნდა დაენახა, მოუსიყვარულებოდა და თავზე ხელს გადაუსვამდა. ბავშვებმაც იცოდნენ რომ ამის მერე ან კანფეტს ან კიდევ სხვა რამეს მიიღებდნენ. ჯიბეში არაფერი რომ დარჩებოდა, ბავშვებს ლამაზ ზღაპრებს მოუყვებოდა. მხოლოდ ბავშვებისადმი არ გამოხატავდა სიყვარულს. იმ უბანში ვინც კი მოხვდებოდა, ყველა მისი სტუმარი იყო. სახლში სუფრასთან დაჯდომამდე ღვთის სტუმრისთვის ყოველთვის გადაინახავდა საჭმელს. თუ ვინმეს დახმარება სჭირდებოდა, მას აკითხავდა. უთანხმოების დროს მოსამართლის ფუნქციას ასრულებდა. ყველას უყვარდა აიშეს საყვარელი ბაბუა.

სამწუხაროდ, გაზაფხულის ერთ ლამაზ დღეს მისი ბაბუა გარდაიცვალა. "ყოველგვარი ტკივილის გარეშე, მშვიდად გარდაიცვალა"– ამბობდნენ. დილის ლოცვისთვის გაეღვიძა, აბდესთი აიღო, ნამაზი ულოცავს და სალოცავზე

სული ჩაუბარებია. სიკვდილისას აიშეს დედა მასთან ყოფილა, ეს სწორედ მან მოყვა. სიკვდილის ანგელოზი მორწმუნეების სულს მშვიდად იბარებს. სულს ამანათად წაიღებს და ალლაჰს მიუტანს. მოხუცი მეზობელი ბებიები მაშინ ასე ამბობდნენ.

ახლა კი პატარა ჩიტი მის ხელებში იყო. უსიცოცხლო იყო. დარდმა და სიკვდილის ანგელოზზე გაბრაზებამ გაახსენა ბაბუას სიკვდილი. ისევ ჩაფიქრდა. დედაც კი ვერ შეამჩნია, რომელმაც წვენი მოუტანა. ის ახლა სიკვდილის ანგელოზზე, აზრაილზე, ფიქრობდა. ალბათ დედამისსაც არ უყვარდა იმიტომ, რომ დედას მშობლები გამოსტაცა ხელებიდან.

–შენც არ გიყვარს აზრაილი, არა? –ჰკითხა.

დედამ მაშინვე არ უპასუხა. შვილს ნაზად გადაუსვა თმაზე ხელი და წვენი მიაწოდა. შემდეგ კი უთხრა:

–ის მხოლოდ მის მოვალეობას ასრულებს.

შვილი ფიქრებთან მარტო დატოვა.



აიშე მკვდარ ჩიტს უყურებდა და ფიქრობდა. დედა მართალი იყო. "ყველას განსაზღვრული მოვალეობა აკისრია. ყველას მოვალეობაა ისეთი ადამიანი იყოს, როგორიც ალლაჰს სურს. ჩემი ბაბუას მოვალეობაც ის იყო, რომ ალლაჰის სურვილისამებრ ეცხოვრა. ისიც შესაძლებლისდაგვარად ასრულებდა თავის მოვალეობას. აზრაილის მოვალეობაც, ჩვენზე ამანათად ბოძებული სულის თავის პატრონთან ანუ ალლაჰთან მიტანაა. სწორედ ამიტომ,



აზრაილმა თავისი მოვალეობა შეასრულა და ბაბუა გარდაიცვალა. თუმცა მაშინ, როდესაც ალლაჰმა ისურვა. არც ერთი წუთით ადრე და არც ერთი წუთით გვიან. სხვა ანგელოზების მსგავსად, აზრაილიც ალლაჰის ბრძანებებს ასრულებს".

გადაწყვიტა რომ აზრაილზე გაბრაზება უსამართლობა იყო. თუმცა ეს ბაბუას მონატრებას არ აქარვებდა. დღითიდღე უფრო ენატრებოდა. მისთვის ალლაჰს შეევედრა.

დედის მოცანილი, გემრიელი ლიმონათის დალევისას ფიქრობდა: ყველას რაღაც მოვალეობა აკისრია. ანგელოზი აზრაილის მოვალეობა სულის წართმევაა. მეორე დიდი ანგელოზის, ისრაფილის, მოვალეობა წარღვნის დღეს ყველასთვის ამბის მიწოდებაა. აიშემ ესეც მამის ნაჩუქარ წიგნში წაიკითხა. სამყაროს დასასრული რომ მოვა, ალლაჰი ისრაფილს აცნობებს. ისრაფილიც მილში, რომელსაც "სური" ქვია, ჩაბერავს. ისრაფილი ამ მილში რომ ჩაბერავს, ძალიან ძლიერი და საშიში ხმა გაისმება. ყველა სულიერი ვინც ამ ხმა გაიგებს, მოკვდება. ამასთან ერთად, ამ ხმასთან ერთად ყველაფერი მიწასთან გასწორდება, სულიერი არაფერი არ დარჩება. ცა და დედამიწა ერთმანეთს შეუერთდება. ამ ფიქრებში იყო გართული, როდესაც თავში რაღაც დაეცა. აიშე ვერ მიხვდა რა დაემართა. "ვაიმე, მემგონი სამყაროს დასასრული მოვიდა" –თქვა. შიშმა და ცკივილმა აიცაცა და ყვირილი დაიწყო. მოგვიანებით კალთაში ჰქონდა ის, რაც თავში დაეცა. ვაშლის ხიდან ჩამოვარდნილი ვაშლი

იყო, რომლის ძვეშაც თვითონ იჯდა. ვაშლი, რომელიც ჭიებს შეეჭამათ, ცოცხზე ვეღარ გაჩერებულიყო. ჯერ აიშეს თავზე დაეცა, შემდეგ კი კალთაში ჩაუვარდა. ამ დროს აიშეს მამა, რომელიც

ეზოში ყვავილებს რწყავდა, სირბილით მივიდა. აინტერესებდა აიშეს რა დაემართა.

–ჩემო პატარა, რა დაგემართა, რატომ ყვირობდი?

აიშეს ცოტა შერცხვა, ცუდი ლუღმრალოდ რომ შეეშინდა.

–არაფერი, –უთხრა.

–როგორ თუ არაფერი? ისე იყვირე, მეგონა რამე დაგემართა.

–მეც მასე მეგონა მამიკო. თავზე რაღაც დამეცა. ჯერ ვერ მივხვდი რა იყო. მეგონა წაროვნა მოვიდა.

მამამ სიცილი ვერ შეიკავა. ცოტა ხანში თავი ხელში აიყვანა, აიშეს სიცილისთვის ბოდიში მოუხადა:

–ჩემო აიშე, ამის გამო ნუ გეშინია. ამის მიზეზს მე ვერ გეცყვი. გთხოვ ეს იმ წიგნში წაიკითხე, რომელიც გაჩუქე.

აიშემ ის წიგნი წაიკითხა, უფრო სწორად კითხულობდა. ამ თემის კითხვისას ფიქრებში იყო წასული. წაროვნისას რას ვიზამთ, გაიფიქრა და შეეშინდა. ინტერესითა და შიშით გააგრძელა კითხვა. კიდევ კარგი გააგრძელა იმიტომ, რომ წიგნში ეწერა, ის ვისაც ალლაჰის ნამდვილას სწამს, წაროვნას ვერ იხილავს. მათ სულებს, ვისაც ალლაჰის სჯერა, წაროვნის მოსვლამდე წაიღებს ალლაჰი. გაუხარდა, რომ იმ საშინელ წუთებს ვერ ნახავდა. "იმიტომ, რომ მე ალლაჰის მართლა მჯერა" –გაიფიქრა. თანაც ალლაჰის გარდა არავინ იცის, როდის მოვა წაროვნა. ისრაფილმაც კი.



დაჭიანებული ვაშლი აიღო ხელში, რომელიც თავზე დაეცა. "როგორ შემაშინე. არ იფიქრო, რომ რახან დაჭიანებული ხარ, არ შეგჭამ. ახლა

კარგად გაგრეცხავ, დაჭიანებულ ნაწილს გადავაგდებ და გემრიელად შეგჭამ" –თქვა.

"ღმერთმა, რომელმაც ყველაფერი რაღაც მიზნისთვის შექმნა, შენც იმისთვის გაგაჩინა, რომ ვჭამოთ, გავიზარდოთ და ჯანმრთელები ვიყოთ. რა კარგია, რომ არის ჩვენი გამჩენი ღმერთი, რომელიც ჩვენზე ფიქრობს და გვმფარველობს" –გულში გაიფიქრა. სიხარულით მიირბინა მამასთან, რომელიც ყვავილებს უვლიდა.

საყვარელო ბავშვებო, შეგიძლიათ დაწეროთ თქვენი მოვალეობები, როგორც შვილმა, მოსწავლემ, მეგობარმა, დამ (ძმამ) და ალლაჰის მორჩილმა უნდა შეასრულოს?



მეგობრებო ქვემოთ გამოტოვებულ ადგილას იმ ანგელოზის სახელი დაწერეთ, რომელიც ახსნილია. დაწერილი ანგელოზის სახელების პირველი ასოების რიგის მიხედვით დალაგებით, მიიღებთ მუსლიმების ღვთისმსახურების ადგილის სახელს.

## სიტყვების თამაში

ბუნების მოვლენებს აკონტროლებს.
წვიმასა და თოვას აკონტროლებს.
ოთხი დიდი ანგელოზიდან ერთ-ერთია.

..............................

ქვეყნიერების დასასრულს დიადი ალლაჰი მას აცნობებს.
წარღვნის მოსვლას ის ამცნობს.
წარღვნისას მილში ჩაბერავს.

...........................

ღვთიური გზავნილის მომტანი ანგელოზია.
მისი მოვალეობა ალლაჰის ბრძანების შუამავლებამდე მიტანაა.
ჩვენს შუამავალს ყურანი ქერიმი მან მოუტანა.

................................

სულის წამრთმევი ანგელოზია.
მხოლოდ მას ართმევს სულს, ვისაც ალლაჰი უბრძანებს.
სიკვდილის ანგელოზიც ჰქვია.

..............................


ჩემი და ყველაფრის გამჩენი ალლაჰი
ანგელოზები, რომლებიც
უსასრულო ცხოვრება, შემდგომი სამყოფელი